

საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის გ ა მ გ ე ბ ე ლ ი

ქ.ახმეტა

„31“ 03 2011წ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 157

თუშეთში “საოჯახო სასტუმროს ტიპის,ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის”საუკეთესო არქიტექტურული-გეგმარებითი პროექტის გამოვლენის მიზნით,კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 თებერვლის №19 განკარგულების შესრულების მიზნით.

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი თუშეთში- “საოჯახო სასტუმროს ტიპის,ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის” საუკეთესო არქიტექტურული გეგმარებითი პროექტის გამოვლენის მიზნით, საერთო ფართით 100 კვ.მ-დან - 250 კვ.მ-მდე.
2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) კობა მაისურაძე (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი)-კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) ვანო ნასყიდაშვილი (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე) - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - გ) საშა ჭოლოკიძე (ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი)- კომისიის წევრი.
 - დ) ნუგზარ ილოიძე-(ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) -კომისიის წევრი;
 - ე) გივი შორთიშვილი-(ეკონომიკის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი)- კომისიის წევრი;
 - ვ) კობა ნამორაძე (ეკონომიკის სამსახურის განყოფილების გამგე)- კომისიის წევრი;
 - ზ) არსენ ბუღრიძე (საფინანსო სამსახურის უფროსი)- კომისიის წევრი

თ) ტელმან იჭირაული -(თუშეთის რწმუნებული)- კომისიის წევრი

ი) ანზორ გოგოთიძე-თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი, მოწვეული წევრი

3. დამტკიცდეს თუშეთის-“საოჯახო სასტუმრო ტიპის,ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის” საუკეთესო არქიტექტურული-გეგმარებითი პროექტის გამოვლენის მიზნით-კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დანართის შესაბამისად.

4. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური წესით გაცნობისას 1 თვის ვადაში (მის:ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ №49)

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგებელი



კ. მაისურაძე

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის კონკურსის- თუშეთში “საოჯახო სასტუმროს ტიპის,ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის არქიტექტურულ-გეგმარებითი პროექტი” – ჩატარების წესი და საკონკურსო პირობები

I. ზოგადი ნაწილი

1. კონკურსის მიზანია თუშეთის ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარების ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა , ინვესტიციების მოზიდვა, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, თუშეთის ერთიანი იერსახის ჩამოყალიბებას და მშენებლობის ნებართვის პროცედურის გამარტივებას.
2. კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს “საოჯახო სასტუმროს ტიპის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის” არქიტექტურულ-გეგმარებითი პროექტები, შემდგომში დაინტერესებულ პირებზე უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.
3. კონკურსის მომწყობია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მის: ქ. ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ №49 ტელ: 824921542 ელ მისამართი : myakhmeta.ge
4. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება წინამდებარე ბრძანების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე (www.prokurement.gov.ge) და გახეთ „24 საათი“-ში გამოქვეყნების დღე.
5. კონკურსი ფინანსდება კონკურსის მომწყობის (ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის) მიერ გამგეობის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებიდან.
6. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენა განხორციელდება ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმებით ვებ. გვერდზე: (www.prokurement.gov.ge) დანართი№1-ის შესაბამისად;
7. კონკურსში გამარჯვებულს გაუფორმდება არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულება;
8. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს;
9. კონკურსის ჩატარების ადგილია ქალაქი ახმეტა;
10. კონკურსში გამარჯვებული პროექტების გაერცვლების და განხორციელების არეალია ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის ტერიტორია , გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონისა.

II საკონკურსო პირობები

1. საკონკურსო ინდივიდუალური საოჯახო სასტუმრო სახლის არქიტექტურული პროექტი უნდა მომზადდეს კონკურსის მომწყობის მიერ ვებ. გვერდზე (www.prokurement.gov.ge) გამოქვეყნებული მიწის 10 ნაკვეთიდან რომელიმე ერთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ნიმუშის შესაბამისად.

2. ძირითადი მოთხოვნები არქიტექტურული გადაწყვეტისადმი:

ა) საერთო ფართით 100 კვ.მ. დან-250 კვ.მ.მდე.

ბ) გათვალისწინებულ იქნეს თუშეთისათვის დამახასიათებელი არსებული არქიტექტურის მახასიათებლები, მოცულობითი სივრცითი გადაწყვეტა, ადგილობრივი მასალები, სახურავი, კარ-ფანჯრის დიობები, აივნები, არქიტექტურული ელემენტები და სხვა.

3. განაცხადს დანართის სახით უნდა დაერთოს არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია შემდეგი შემადგენლობითა და თანმიმდევრობით:

ა. უდა, მითითებული პროექტის სახელწოდებით, ფოტორენდერით, საპროექტო ორგანიზაციის დასახელებით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

ბ. სატიტულო ფურცელი. (ხელმოწერებით და ბეჭდით)

გ. განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს: პირობითი საპროექტო ტერიტორიის დახასიათება. პროექტის დახასიათება არქიტექტურულ-გეგმარებითი თვალსაზრისით გამოკვეთილი ორიგინალური გადაწყვეტის არსით. გადახურვისა და გარე მოსაპირკეთებელი, ასევე კარ-ფანჯრებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება. შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტება და სხვა ინფორმაცია ავტორის მოსაზრებით.

დ. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ფართი	----- მ ²
მომშენების ფართი	----- მ ²
საერთო ფართი	----- მ ²
მათ შორის:	
* საცხოფრებელი ფართი	----- მ ²
* დამხმარე ფართი	----- მ ²
* სარდაფის ფართი	----- მ ²
* მანსარდის ფართი	----- მ ²
* საზაფხულო ფართი	----- მ ²
* დამხმარე ნაგებობის ფართი	----- მ ²
* ავტოფარეხის ფართი	----- მ ²
* -----	----- მ ²
სამშენებლო მოცულობა	----- მ ³
მათ შორის:	
0.00-ის ზევით	----- მ ³
0.00-ის ქვევით	----- მ ³
კვ კოეფიციენტის საანგარიშო ფართი	----- მ ²
სამშენებლო ფართი	----- მ ²

ე. არქიტექტურული პროექტი:

სიტუაციური გეგმა მ 1:200 ან აეროფოტოგადაღება მონიშნული საპროექტო ტერიტორიით.

გენგეგმა მომზადებული მ 1:500-იან ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ეზოს კეთილმოწყობის, წითელი და შავი ნიშნულებისა და ჩრდილოეთის ჩვენებით.

საძირკვლის (დაკვალვის) გეგმა მ 1:100

სარდაფის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)

I-სართულის გეგმა მ 1:100

II-სართულის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)

მანსარდის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)

სახურავის გეგმა მ 1:100

გრძივი და განივი ჭრილები მ 1:100 არსებობის შემთხვევაში-ღობის სიმაღლის ჩვენებით

შენობის ყველა ფასადები მ 1:100 (გრაფიკული და ფერადი)

კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია.

აქსონომეტრიული ხედები

ღობისა და ეზოში შესასვლელი კარის (ჭიშკრის) გეგმა, ჭრილი ფასადი სიმაღლის, სიგანის და საერთო სიგრძის მითითებით. (არსებობის შემთხვევაში)

დამხმარე ნაგებობებისა და აუზის შემთხვევაში შესაბამისი ნახაზები; გეგმა, ჭრილი, ფასადი.

ძირითადი სამშენებლო მასალების მოცულობების სპეციფიკაცია.

მაღალი ხარისხის ფოტომონტაჟი და რენდერები (გამოტანილი ხაზით მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით).

3. ყველა გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები. გენგეგმაზე და გეგმებზე დატანილი უნდა იყოს ექსპლიკაცია, შენიშვნები და პირობითი აღნიშვნები. ფასადებზე გამოტანილი ხაზით მითითებული უნდა იყოს მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი.

4. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია სრული შემადგენლობით დაარქივებული ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით;

5. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კონკურსის მომწყობს წარუდგინოს არქიტექტურული პროექტი კოლაჟის სახით, შესრულებული ერთ A2 ფორმატზე, დაბეჭდილი მაღალი ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები, მცირე ტექსტური ნაწილი) გამოფენისთვის და პროექტის მიხედვით მშენებლობის სავარაუდო ღირებულება და ხარჯთაღრიცხვა.

6. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს გამარჯვებული პროექტის კონსტრუქციული ნახაზები „0“ ნიშნულს ზევით.

7. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი კონკურსის მომწყობს გადასცემს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს, ამავე კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის თანახმად.

8. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს მიუთითოს თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შეასრულებს პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგების საპროექტო დოკუმენტაციას, რასაც სამსახური გამოაქვეყნებს ვებ. ვერდზე myakhmeta.ge

9. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გასცემს პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგების, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის და შიდადაგეგმარების ცვლილებ(ებ)ის განხორციელების უფლებას.

10. კონკურსში გამარჯვებულ პროექტში ამ მუხლის მე-7 პუნქტისგან განსხვავებული ცვლილებების განხორციელება საჭიროებს პროექტის ავტორთან შეთანხმებას.

11. კონკურსის მომწყობს შეუძლია შეიტანოს ცვლილებები საკონკურსო პირობებში, რის შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნდება იგივე ფორმით, რა ფორმითაც გამოქვეყნდება საკონკურსო პირობები;

IV კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ლუხუმ შეთევკაური;
- ბ) მარიკა სააკაძე;
- გ) თამარ დავითაშვილი;
- დ) ასმათ ძეზისაშვილი;
- ე) ლევან ლეფსვერიძე;
- ვ) თამარ ტუგულაშვილი.

2. აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) კონკურსის გამოცხადება და მისი შედეგების გამოქვეყნება;
- ბ) საკონკურსო პირობების გამოქვეყნება სამსახურის ვებ. გვერდზე myakhmeta.ge ;
- გ) საკონკურსო განაცხადისა და პროექტების ელექტრონულად მიღებარეგისტრაციას;
- დ) კონკურსში გამარჯვებული არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება.
- ე) კონკურსთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;
- ვ) კონკურსის ტექნიკური უზრუნველყოფა;

5. აპარატი უფლებამოსილია რეგისტრაციაში არ გაატაროს საკონკურსო განაცხადი თუ ის არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს.

V საკონკურსო ვადები (კალენდარი)

ღონისძიება		დედლაინი
1	განაცხადების მიღება-რეგისტრაცია	კონკურსის გამოცხადებიდან 2011 წლის 16 აპრილის ჩათვლით
2	განაცხადების განხილვა	განაცხადების მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
3	კონკურსის შედეგების გამოცხადება	განაცხადების განხილვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში
4	ხელშეკრულების გაფორმება	არაუგვიანეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღისა

VI საკონკურსო კომისია

1. კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ს ავლენს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული კომისია.
2. კომისიას პყავს მდივანი, რომელსაც ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს განსახილველი საკითხების ტექნიკურ მომზადებას და კომისიის ოქმის შედგენას.
4. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით;
7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მდივანი;
8. კომისიის წევრის მიერ საკონკურსო განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, განაცხადის შემომტან კომისიის წევრს არ აქვს მისი საკითხის განხილვისას კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება.

VII კონკურსის შედეგები

1. საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს სამამდე გამარჯვებულს.
2. კონკურსის გამარჯვებულსა და კონკურსის მომწეობს შორის ფორმდება გამარჯვებული ინდივიდუალური საოჯახო სასტუმრო სახლის არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულება.
4. თითოეული გამარჯვებული არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ფასი შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს, თანმდევი ხარჯების ჩათვლით.
5. კონკურსი ითვლება ჩაშლილად თუ:
 - ა) კონკურსში მონაწილეობისათვის არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განაცხადი;
 - ბ) საკონკურსო კომისია უარს იტყვის კონკურსის ჩატარებაზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგებელი



კ. მაისურაძე

**კონკურსი თუშეთის “საოჯახო სასტუმროს
ტიპის, ინჟინერიული საცხოვრებელი ბინის”
არქიტექტურული პროექტი**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაინტერესებული პირის მიერ
წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) უნდა მოწოდდეს ქვემოთ
აღნიშნული მითითებების (საკონკურსო პირობების) გათვალისწინებით.

საკონკურსო ინდივიდუალური საოჯახო სასტუმრო სახლის არქიტექტურული
პროექტი უნდა მომზადდეს კონკურსის მომწყობის მიერ ვებ. გვერდზე (myakhmeta.ge)
გამოქვეყნებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ნიმუშის
შესაბამისად და აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს (იხ.
ბმული).

კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი კონკურსის მომწყობს გადასცემს
„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18
მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს.

კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი ნახეილობის ხელშეკრულების
დადებისას გასცემს პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგების, მოქმედ
კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის და შიდადაგეგმარების
ცვლილებ(ებ)ის განხორციელების უფლებას.

კონკურსის მომწყობს შეუძლია შეიტანოს ცვლილებები საკონკურსო პირობებში,
რის შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნდება იგივე ფორმით, რა ფორმითაც
გამოქვეყნდება საკონკურსო პირობები.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია სრული
შემადგენლობით დაარქივებული ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და
პროექტის ყველა შემადგენელი ფურცლის PDF ფაილის სახით;

კონკურსში გამარჯვებული ვადდებულება კონკურსის მომწყობს წარუდგინოს
არქიტექტურული პროექტი კოლაჟის სახით, შესრულებული ერთ 2 ფორმატზე,
დაბეჭდილი მაღალი ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით
(გვერები, ტრიდები, ფასადები, რენდერები, მცირე ტექსტური ნაწილი)
გამოყენისთვის.

ქვემოთ მოცემულია ახსნა-განმარტება პროექტის შემადგენელ თითოეულ პუნქტზე,
რომელიც დაგეგმარებათ პროექტის მომზადებაში და სააპლიკაციო ფორმის
შეესებაში.

არასრული განაცხადი არ დაგეგმვდება რეგისტრაცია განხილვას.

წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) განმცხადებელს არ დაუბრუნდება.

— **ბანკისა და მითანხმები საკონკურსო პირობებს**

საკონკურსო განაცხადი

*კონკურსის მონაწილე:

*პროექტის მოკლე აღწერილობა:
(საერთო ფართი,
სართულების რაოდენობა)

მომსახურე ბანკის დასახელება, კოდი:

საბანკო ანგარიშის ნომერი:

*კონკურსის მონაწილის გვარი, სახელი:

*მისამართი:

*საკონტაქტო ტელეფონები:

*ელ-ფოსტა:

თარიღი

- ნიშნით მონიშნული ველები შესავსებად სავალდებულოა

პროექტის შემადგენლობა

ბანაცხაძს დანართის სახით უნდა დამართოს არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია შემდეგი შემადგენლობითა და თანმიმდევრობით:

1. **შპა**, მითითებული პროექტის სახელწოდებით, ფოტორუნდერით, საპროექტო ორგანიზაციის დასახელებით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

2. **სატიტულო ფურცელი**. (ხელმოწერებით და ბეჭდით)

3. **ბანმარტებითი ბარათი**, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს: პირობითი საპროექტო ტერიტორიის დახასიათება. პროექტის დახასიათება არქიტექტურულ-გეგმარებითი თვალსაზრისით გამოკვეთილი ორიგინალური გადაწყვეტის არსით. გადახურვისა და გარე მოსაპირკეთებელი, ასევე კარ-ფანჯრებზე გამოყენებული მასალების აღწერა-მითითება. შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტება და სხვა ინფორმაცია ავტორის მოსაზრებით.

4. **პროექტის ტექნიკურ-მკონსტრუქციური მარკინგელები**:

საპროექტო ტერიტორიის ფართი	----- მ ²
მოშენების ფართი	----- მ ²
საერთო ფართი	----- მ ²
მათ შორის:	
• საცხოფრებული ფართი	----- მ ²
• დამხმარე ფართი	----- მ ²
• სარდაფის ფართი	----- მ ²
• მანსარდის ფართი	----- მ ²
• საზაფხულო ფართი	----- მ ²
• დამხმარე ნაგებობის ფართი	----- მ ²
• ავტოფარეხის ფართი	----- მ ²
• -----	----- მ ²
სამშენებლო მოცულობა	----- მ ³
მათ შორის:	
0.00-ის ზევით	----- მ ³
0.00-ის ქვევით	----- მ ³
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართი	----- მ ²
სამშენებლო ფართი	----- მ ²

5. აბსტიქტურული პროექტი:

სიტუაციური გეგმა მასშ. 1:200 ან აეროფოტოგადაღება მონიშნული საპროექტო ტერიტორიით.

გენგეგმა მომზადებული მ 1:500-იან ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ეზოს კეთილმოწყობის, წითელი და შავი ნიშნულებისა და ჩრდილოეთის ხეხეხებით.

საპირკედლის (დაკეაღლის) გეგმა მ 1:100
სარდაფის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
I-სართულის გეგმა მ 1:100
II-სართულის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
მანსარდის გეგმა მ 1:100 (არსებობის შემთხვევაში)
სახურავის გეგმა მ 1:100

გრძივი და განივი ჭრილები მ 1:100 არსებობის შემთხვევაში—ღობის სიმაღლის ხეხეხებით

შენობის ყველა ფასადები მ 1:100 (გრაფიკული და ფერადი)

კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია.

აქსონომეტრიული ხედები

ღობისა და ეზოში შესასვლელი კარის (ჭიშკრის) გეგმა, ჭრილი ფასადი სიმაღლის, სიგანის და ხერხო სიგრძის მითითებით. (არსებობის შემთხვევაში)

დამხმარე ნაგებობებისა და აუზის შემთხვევაში შესაბამისი ნახაზები; გეგმა, ჭრილი, ფასადი.

ძირითადი სამშენებლო მასალების მოცულობების სპეციფიკაცია.
მღაღი ხარისხის ფოტომონტაჟი და რენდერები (გამოტანილი ხაზით მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით).

ყველა გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები. გენგეგმაზე და გეგმებზე დატანილი უნდა იყოს ექსპლიკაცია, შენიშვნები და პირობითი აღნიშვნები. ფასადებზე გამოტანილი ხაზით მითითებული უნდა იყოს მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი.

პროექტის სავარაუდო ღირებულება და ხარჯთაღრიცხვა.

6. დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია

თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შესრულებთ პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მონტაჟის საპროექტო დოკუმენტაციას.

დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის სახით შესაძლოა წარდგენილი იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და ვახდის მას უფრო დამაჯერებელს და შთაბეჭდილს.

ახმეტის მუშაობის კალენდრის განხილვა

მისამართი-დახმება პ. ნოზურაშვილის ქ. №49

ტელეფონი-8249 21542

ელ-ფოსტა- myakhmeta.ge



